ოქმი:ო37. 37250302
თარიღი:30/01/2025

ოქმი N 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2025 წელი, 29 იანვარი
ქ. ოზურგეთი
11.00 -12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ლ. ბიგვავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ტ. არუშიძე, ნ. ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი; ფრაქციის თავმჯდომარეები:მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, თ. გოგუაძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, რ. დუმბაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 31 -მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 31-ხმით.

დღის წესრიგი

1.1.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

პაატა კიღურაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31 ხმით

1.2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31 ხმით

2.3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31 ხმით

2.4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1 აგვისტოს N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31 ხმით

3.5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში წერეთლის ქუჩაზე მდებარე(ს.კ.26.26.40.127) უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31 ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა,

რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარი დაუჭირა მის განხილვა-დამტკიცებას.

4.6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31 ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარი დაუჭირა მის განხილვა-დამტკიცებას.

3.7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31 ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დასვა შეკითხვა-ხომ არ იგეგმება მუნიციპალიტეტის მერიაში ქალაქის ზონირების გადასინჯვა? განუმარტეს, რომ ზონირების გადასინჯვა და, შესაბამისად, ფასების ცვლილებების განხორციელება შესძლებელია მომავალში. ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ურეკი-შეკვეთილის ტერიტორია არის საკურორტო-სარეკრეაციო ზონა, ამჟამად არსებული ფასები აუდიტს აძლევს ფასებში მანიპულირების შესაძლებლობას, მომავალში, მისი აზრით, აქაც უნდა მოხდეს ფასების გადასინჯვა. უპასუხეს, რომ საკურორტო-სარეკრეაციო ზონაში ფასების განსაზღვრა ხდება ქალაქის შუალედური ზონის ფასებიდან გამომდინარე, ამდენად ქალაქის ზონირებაში ცვლილებების შესაბამისად აქაც მოხდება ფასების ცვლილება.

საკრებულოს დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეებმა დ. ჭაკნელიძემ და გ. ჩავლეშვილმა განაცხადეს, რომ კომისიებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და მხარი დაუჭირეს მის განხილვა- დამტკიცებას.

8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ 2024

წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის, შეფასებისა და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარიამ ჭანტურია

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ აღნიშნა, რომ მ.ჭანტურიამ შარშანაც წარმოადგინა ანგარიში, მაგრამ წლევანდელი ანგარიში უფრო დახვეწილი და შინაარსიანია, სრულად ასახავს მერიის ამ განყოფილების გაწეულ საქმიანობას, წამოაყენა წინადადება ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, ამ წინადადებას საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის, შეფასებისა და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან კვაჭანტირაძე

საკრებულოს წევრმა ბესიკ მელუამ გამოთქვა აზრი ოქროსმედალოსანი მოსწავლეების დაჯილდოებასთან დაკავშირებით, განუმარტეს, რომ ოქროსმედალოსანი და სახელმწიფო გრანტის მიმღები აბიტურიენტების დაჯილდოება ხდება სხვადასხვა პროგრამებიდან.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა მადლობა გადაუხადა ქ. კვაჭანტირაძეს ანგარიშის წარმოდგენისათვის, აღნიშნა რომ იგი აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს და დააყენა წინადადება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ აღნიშნა, რომ საბიუჯეტო ნაწილში საკრებულოს წევრები ინფორმირებულები არიან, სასურველი იყო უფრო კონკრეტული მონაცემები წარმოდგენილიყო სამსახურის განყოფილებების საქმიანობაზე და მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის ჭრილში გამოკვეთილიყო ის თვისობრივი მაჩვენებლები, რომელიც მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის სოცაილურ-კულტურულ განვითარებაში.

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის, შეფასებისა და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა მადლობა გადაუხადა მ. ცელაძეს ანგარიშის წარმოდგენისათვის, აღნიშნა რომ იგი სრულად აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს და დააყენა წინადადება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

11. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ საკრებულოს წევრებს სთხოვა დარიგებული გრაფიკის შესაბამისად განახორციელონ მოქალაქეებთან ჩანიშნული შეხვედრები, ამასთან მერიის წარმომადგენლებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების წარმოდგენის ორგანიზებაში.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი